ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
ოქმი N2

დაბა ქედა **25 მარტი, 2026 წელი**

სხდომა დაიწყო 11:30 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 11:55 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან დევაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რეზო თურმანიძე - კომისიის წევრი;
ლევან ვერძაძე -კომისიის წევრი;
ამირან წულუკიძე - კომისიის წევრი;
ანზორ გოგიაშვილი - კომისიის წევრი;
ნაზიმ ჩხეიძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდა:
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ამირან ცინცაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ციური ზაქარაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ნანა ბერიძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

25.03.2026 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან დევაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ანზორ გოგიაშვილი	კომისიის წევრი	
3	ამირან წულუკიძე	კომისიის წევრი	
4	რეზო თურმანიძე	კომისიის წევრი	
5	ლევან ვერძაძე	კომისიის წევრი	
6	ნაზიმ ჩხეიძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის-წესრიგი:

1. **ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში საკრებულოს 2025 წლის მუშაობის შესახებ.**

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძე

2. **ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.**

მომხსენებელი: სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

3. **ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2026 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმა.**

მომხსენებელი: სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

1. მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2026 წლის 20 მარტს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განსახილველად წარმოდგენილია (განცხადების ნომერი: 95-95260791; განცხადების თარიღი:20.03.2026) „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში საკრებულოს 2025 წლის მუშაობის შესახებ“.

საკებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ კომისიის წევრებს წარუდგინა ანგარიში საკრებულოს 2025 წლის მუშაობის შესახებ.

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

განხილულ იქნას „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში საკრებულოს 2025 წლის მუშაობის შესახებ“ საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

2. მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2026 წლის 13 მარტს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განსახილველად შემოვიდა (განცხადების ნომერი: 12-95260723-95; განცხადების თარიღი:13.03.2026) „ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში“.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო წარმოდგენილი ანგარიში.

კომისიის წევრებს წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
განხილულ იქნას „ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში" საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

3.მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2026 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმა შემდეგი სახით:

	განსახილველი საკითხები და გასატარებელი ღონისძიებები	**განხილვის თარიღი**	**საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე**	**საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე**	**პასუხისმგებელი პირი საკითხის მომზადებაზე**
1	აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსაგან ინიცირებული საკითხების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება.	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
2	შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო"- ს მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	ივნისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო"-ს დირექტორი
3	ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2026 წლის მესამე კვარტალის სამუშაო გეგმა	ივნისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს ბიუროს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

დამტკიცებულ იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2026 წლის მეორე კვარტალის სამუშაო გეგმა წარმოდგენილი სახით.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 11:55 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **ამირან დევაძე**

ოქმი შეადგინა:

საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში **ნანა ბერიძე**